186
1983

90
186

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1983 წ.

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1983 წ.

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სააქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1. 1983-1985 წლებისათვის საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა მომზადების გეგმის პროექტის შესახებ.

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

2. სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.
3. ბანკის კრედიტის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
4. „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 ივნისის № 403 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
5. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებების „საქჩაის“ და „სამტრესტის“ საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად და საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

7. სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგების გამოყენების დაჩქარების მიზნით წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლების საპარტნიორო კავშირურთიერთობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

8. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

9. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

10. საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 ნოემბრის № 983 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

12. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან წყალმომარაგებისა და წყალჩაშვების საწარმოთა რესპუბლიკური საწარმოო გაერთია ნება „საქწყალკანალის“ შექმნის შესახებ

13. „ქალაქ თბილისის საავტოინსპექციო სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 აპრილის № 254 დადგენილების 1-ლი პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

14. მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ.

15. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების იმ პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ, რომლებშიც დასაშვებია შეთავსება.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

17. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

18. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლის აღწერილობის შესახებ.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 1983-1985 წლებისათვის საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა მომზადების გეგმის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს 1983-1985 წლებისათვის საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა მომზადების თანდართული გეგმა.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>უმაღლესი საბჭოს<br>პრეზიდიუმის თავმჯდომარე<br>**პ. გილაშვილი.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 27 იანვარი, № 38.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 იანვრის № 38 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეგმა

## 1988-1985 წლებისათვის საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა მომზადებისა

| პროექტის სახელწოდება | შემსრულებლები | შემსრულებლების მიერ წარმოდგენის ვადა |
|---|---|---|
| საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომაგასწორების კოდექსში ცვლილება-დამატებათა შეტანის შესახებ | საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ პროკურატურა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო | 1983 წლის მარტი |
| საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბინაო ფონდის არასათანადო გამოყენებისა და საბინაო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ | საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ პროკურატურა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | 1985 წლის აგვისტო |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ | საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო | 1985 წლის სექტემბერი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| პროექტის სახელწოდება | შემსრულებლები | შემსრულებლების მიერ წარმოდგენის ვადა |
|---|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბინაო ფონდის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობისადმი სახელმწიფო კონტროლის შესახებ | საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, რესპუბლიკური პროფსაბჭო, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | 1985 წლის ნოემბერი |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების შესახებ | საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო | 1985 წლის ნოემბერი |
| დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო | 1984 წლის თებერვალი |
| დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო | 1984 წლის აპრილი |
| საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და საბინაო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით | საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ პროკურატურა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო | 1983 წლის დეკემბერი |
| საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე | საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ პროკურატურა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო | 1984 წლის ივნისი |

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 2 სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის, მართვის სისტემაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რაიონული რგოლის განმტკიცებისათვის.

გაუქმდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტები. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქჯიშთესლმრეწვის“ ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“.

ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რათა გაუქმდეს ორგანიზაციები, რომლებმაც ვერ გაამართლეს დანიშნულება, აღმოიფხვრას ზედმეტობანი სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამინისტროთა და უწყებათა მმართველობის რგოლის შტატებში, მთლიანად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურა შეესაბამებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებში და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში წამოყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, მმართველობის აპარატი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 1983 წლის 1 იანვრიდან შემცირდა 569 ერთეულით, ხოლო საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში — 146 ერთეულით. მთლიანად კი მმართველობის მუშაკთა რიცხოვნობა სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამინისტროთა და უწყებათა სისტემებში მცირდება 1.500-ზე მეტი ერთეულით.

მმართველობის რაიონული რგოლის განმტკიცების მიზნით სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა ბაზაზე რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებანი, რომელთაც დაექვემდებარა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ყველა საბჭოთა მეურნეობა. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის გამოცდილებას მოჰყვა დადებითი შედეგები, რომლებიც ხელ უწყობენ ტერიტორიულ ორგანოთა როლის ამაღლებას სოფლის მეურნეობის მართვაში, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და იმ საწარმო-ორგანიზაციების კოლექტივების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან.

ამასთანავე ყველგან როდია უზრუნველყოფილი მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალური შეხამება, მთლიანად როდია

მეცნ.

აღმოფხვრილი პარალელიზმისა და დუბლირების ფაქტები სოფლის მეურნეობის მართვის სისტემაში.

„სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და:

— გაუქმდეს რესპუბლიკური მეციტრუსეობის გაერთიანება და ამ გაერთიანების საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობები დაექვემდებარონ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს;

— გაუქმდეს რესპუბლიკური გაერთიანება „საქცხოველმრეწვი“ და ამ გაერთიანების საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობები (სანაშენო და მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების გარდა) დაექვემდებარონ შესაბამის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. მგელაძე):

— ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი რესპუბლიკის მეციტრუსეობისა და მეცხოველეობის მართვის სტრუქტურის შესახებ;

— ერთი თვის ვადაში მოაწყოს სამუშაოზე რესპუბლიკური მეციტრუსეობის გაერთიანებებისა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქცხოველმრეწვის“ გაუქმებასთან დაკავშირებით განთავისუფლებული მუშაკები;

— განახორციელოს სისტემატური და მიზანდასახული მუშაობა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, ზემოაღნიშნულ რესპუბლიკურ გაერთიანებათა გაუქმებასთან დაკავშირებით მათ მიერ სუბტროპიკული კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესასრულებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 იანვარი, № 11.

## 3 ბანკის კრედიტის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ბანკის კრედიტის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 ნოემბრის № 995 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— 30-ე პუნქტის მე-10 ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აპრილის № 297 დადგენილებისა „კარტოფილის, სიმინდის, ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნისაგან დამზადებული კვების პროდუქტების წარმოების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტების ვაჭრობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 იანვრის № 42 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ზომების შესახებ“;

— მე-18 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობის ზომების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კრედიტის მიცემის ნაწილში;

— მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 657 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-5 პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებისა „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 ნოემბრის № 995 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე-2, მე-13, მე-14, 27-ე პუნქტები და 43-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარისათვის უფლებების მინიჭების თაობაზე და ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეთათვის უფლებების მინიჭების თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 21 აგვისტოს № 1789 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის როლისა და ამოცანების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 სექტემბრის № 883 დადგენილებით;

— მე-20 პუნქტის მეოთხე აბზაცი, მე-40 პუნქტი და 44-ე პუნქტის პირველი აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ოქტომბრის № 602 დადგენილებით;

— 28-ე პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილებისა „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 404 დადგენილებით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 25 იანვარი, № 39.

## 4 „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 ივნისის № 403 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

რესპუბლიკის არასამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების და მასობრივი მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

№ 1

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 ივნისის № 403 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად ნება დაერთოთ საქართველოს სსრ არასამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს გამოუშვან საბაზრო მოხმარების შეკერილი ნაწარმი და აწარმოონ საფეიქრო გალანტერეა, რომელიც მანქანით ქსოვას მოითხოვს, ამასთან ძალაში დარჩეს რესპუბლიკის არასამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში ამჟამად მოქმედი შეზღუდვები ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოების ნაწილში, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების გარდა, სადაც იგი დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და სპეციალისტთ მომზადებასთან.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 15 თებერვალი, № 87

## 5 საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ, არაერთი მითითების მიუხედავად, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არ იღებენ ქმედითს ზომებს მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის მოწესრიგებისათვის. ბევრ ქალაქსა და რაიონში მაღაზიების, სახელოსნოების, ატელიეების, პოლიკლინიკების, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების უმეტესობა განაგრძობს მუშაობას იმ საათებში, როცა მშრომელთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია წარმოებაში. პირადი საკითხების გადასაწყვეტად ადამიანები იძულებული ხდებიან ხშირად ითხოვონ ნებართვა სამუშაოდან წასასვლელად, აიღონ შვებულება ადმინისტრაციის ნებართვით ან დაარღვიონ დადგენილი შრომითი განაწესი. დიდი დრო ეკარგებათ მათ საქმის ცუდი ორგანიზაციისა და მომსახურების სფეროში მოქალაქეთა მიმართ უყურადღებო დამოკიდებულების გამო.

მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა სამართლიან საყვედურს იწვევენ. უარყოფითად მოქმედებენ შრომის დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების მდგომარეობაზე და საბოლოო ანგარიშით დიდ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნებისა და დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ უფრო გადამჭრელი ბრძოლის, მინდობილი საქმისათვის თითოეულის პასუხისმგებლობის გაძლიერების, საბჭოთა ადამიანების საჭიროება-მოთხოვნილებებისათვის ზრუნვის ამაღლების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების, მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის რეჟიმის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მითითებების შესაბამისად, სახალხო მეურნეობაში სამუშაო დროის გაუმართლებელი დანაკარგების აღმოფხვრის და მუშა-მოსამსახურეთა მომსახურების პროცესში მათთვის რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობის შექმნის მიზნით, „მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 იანვრის № 52 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს ავტოტექმომსახურების რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სამმართველომ, ვოლგის საავტომობილო ქარხნის ავტოტექმომსახურების რესპუბლიკურმა ცენტრმა, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატმა, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქა-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველის რესპუბლიკურმა კანტორამ, სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკურმა მთავარმა სამმართველომ, სავაჭრო ქსელისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ 1983 წლის პირველ კვარტალში მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებანი და იმგვარად მოაწყონ აღნიშნულ საწარმოთა მუშაობა, რომ მშრომელთა მოთხოვნილება-საჭიროებანი კმაყოფილდებოდეს უფრო სრულად და უკეთ, მათი საწარმოო საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად;

— აღმოფხვრან მშრომელთა გამოძახება სამუშაო დროს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებში, საპასპორტო მაგიდებში, სამხედრო კომისარიატებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, თუ ეს განსაკუთრებული აუცილებლობით არ არის გამოწვეული;

— გადასინჯონ მომსახურების სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის არსებული რეჟიმი, იმ ვარაუდით, რომ დაწესდეს მოსახლეობისათვის ყველაზე მოსახერხებელი სამუშაო დღეები და საათები, გაიხსნას მორიგე მაღაზიები, შემოღებულ იქნეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა, საბავშვო ბაღების, ბაგების, სანოტარო კანტორებისა და მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ სხვა საწარმოთა გახანგრძლივებული დღის შესვენებანი, აგრეთვე საღამოობით მუშაობა; გააფართოონ სრიალა გრაფიკის მიხედვით, სამუშაო დროის დაყოფით მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით სოფლად;

— გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია ადამიანთა უფრო მოხერხებული განაწილების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მომსახურების სფეროს თითოეული მუშაკის მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების გზით;

— მიიღონ ზომები სამუშაო დროის სრულად და ეფექტიანად გამოყენებისათვის, მოქალაქეთა ნაკადების ინტენსიურობის გათვალისწინებით შედგენილი რაციონალური, მათ შორის ლენტური სამუშაო გრაფიკების საყოველთაო დანერგვისათვის;

— მიზანშეწონილად მიიჩნიონ რეგიონების (მიკრორაიონების) მიხედვით მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მოწყობა მოცემულ რეგიონში განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა და სხვა ორგანიზაციათა მუშაობის დაწყება-დამთავრების გათვალისწინებით, იმგვარად, რომ მათი მუშაობა მთავრდებოდეს არა უადრეს 21 საათისა და შესვენებები არ ემთხვეოდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაწესებულ შესვენებებს;

— გადასინჯონ არსებული ობიექტების დისლოკაცია, ხოლო მომავალში ახალ საწარმოთა და ორგანიზაციათა განლაგებისას იხელმძღვანელონ მოსახლეობისათვის რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობის შექმნის საჭიროებით და მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივებით; გაუწიონ ყოველმხრივი

მუხ. 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, ამ მიზნით სადგომების, საჭირო მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფაში; შექმნან პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მშრომელებს ისარგებლონ მომსახურების სფეროს საწარმოთა მომსახურებით სამუშაო დროის დაუკარგავად;

— უზრუნველყონ უშუალოდ მშრომელთა სამუშაო ადგილზე მათთვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის გამოცდილების ფართოდ გავრცელება; შექმნან საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით ფეხსაცმლის, ტანსაცმლის შეკეთების, თეთრეულის რეცხვის, ნივთების ქიმიური წმენდის მიმღები პუნქტები; განავითარონ ვაჭრობა წინასწარი შეკვეთების მიხედვით, გამოიყენონ მოსახლეობისათვის მოსახერხებელი მომსახურების სხვა ფორმები.

ამ დადგენილების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 10 აპრილისათვის.

2. რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს მოაწყონ სამრეწველო საწარმოთა და მომსახურების სფეროს საწარმოთა ერთობლივი მუშაობა, რაც მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, მომსახურების სფეროს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას ქარხნების, ფაბრიკების, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, კომპლექსური მიმღები პუნქტების, ატელიეების, სახელოსნოების, გამქირავებელი პუნქტების, საპარიკმახეროებისა და მომსახურების სფეროს სხვა საწარმოთა ქსელის გაფართოებას უშუალოდ გასასვლელებთან, საამქროებში, საერთო საცხოვრებლებში, საცხოვრებელ მიკრორაიონებში.

3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ (ამხ. სობოლევი) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

— მოაწყოს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურება უშუალოდ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რითაც ხელი შეუწყოს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა სამუშაო დროის არამწარმოებლური დანახარჯების შემცირება, ქალთა საოჯახო შრომის შემსუბუქება, მშრომელთა შრომითი აქტიურობის ამაღლება, დასვენებისა და ბავშვთა აღზრდისათვის დროის განთავისუფლება და კადრების დენადობის შემცირებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

— უფრო ფართოდ მიიზიდოს სამუშაოდ პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის განმავლობაში დასაქმების პირობებით;

— გააფართოოს მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვა, როგორიცაა რადიო-ტელეაპარატურის, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯისა და სხვა ნივთების რემონტის შესრულება საღამოს საათებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინაზე: გასარეცხად თეთრეულის და ქიმიური წმენდისათვის ტანსაცმლის მიღება უშუალოდ საწარმოებში.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ქობლიანიძე), საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჯაბადარი), ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი), მუშათა მომარაგების სამმართველოებმა და განყოფილებებმა, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებანი „მეთერთმეტე ხუთწლედში ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 9 ნოემბრის № 757 დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვას — ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის გაყიდვის გადიდებას, მათ გაყიდვას სამრეწველო საწარმოებში სამუშაო დღის ბოლოს, მომსახურების კულტურის ამაღლებას.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ (ამხ. დავითაშვილი) ძირეულად გააუმჯობესოს საქალაქთაშორისო და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად გადასინჯოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკები მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის დაწყება-დამთავრების დროის, მგზავრნაკადების გათვალისწინებით და მკაცრი კონტროლი გაუწიოს აღნიშნული გრაფიკების დაცვას.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ქინქლაძე), რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი, გადასინჯონ მათი მუშაობის რეჟიმი 21 საათამდე გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობის გადიდების გათვალისწინებით.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ხარჯები გასწიონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოყოფილი საერთო ასიგნებებიდან.

7. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა (ამხ. მელქაძე), სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა რეგულარულად შეამოწმონ ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს სხვა საწარმოების მიერ მუშაობის გრაფიკის დაცვა და მიიღონ ქმედითი ზომები გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის მოწესრიგებისა და მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის;

— უზრუნველყონ მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებასთან და მათი მუშაობის მაღალი დონის მიღწევასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსის გადასაწყვეტად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მომსახურების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ხელშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობას;

— მოაწყონ მშრომელთა შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მოწესრიგების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 22 თებერვალი, № 106.

## 6 სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებების „საქჩაის" და „სამტრესტის" საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად და საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩაისა და ღვინის მრეწველობა. რომელიც მაღალი ტემპით ვითარდება, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები გახდა და დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია რესპუბლიკის ეკონომიკაში. 1982 წელს ჩაის მრეწველობამ გადაამუშავა 538 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო ღვინის მრეწველობამ — 400 ათასი ტონა ყურძენი, ამასთან მთლიანი პროდუქციის მოცულობამ შეადგინა — შესაბამისად — 1.0767 და 1.545 მილიონი მანეთი. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩაის ფოთლისა და ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების მკვეთრი გადიდება (შესაბამისად — 600 ათას ტონამდე და 1 მილიონ ტონამდე).

წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებასთან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამსხვილებასთან დაკავშირებით წარმოიშვა მთელი რიგი სიძნელეები აღნიშნული დარგების მართვის საქმეში — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებების „საქჩაის“ და „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატების მოქმედი სტრუქტურა აძნელებს მათ მართვას. აბრკოლებს დარგების წინაშე დასახული პრობლემების დროულად და ხარისხიანად გადაჭრას, სამინისტროებთან, უწყებებთან და სამეცნიერო ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირურთიერთობის გაფართოებას.

ითვალისწინებენ რა მეჩაიეობისა და ხარისხოვანი მევენახეობის ტრადიციულობასა და დიდ ხვედრითს წონას რესპუბლიკის ეკონომიკაში, წამყვან ადგილს, რაც ამ დარგებს უკავიათ მთლიანად ქვეყანაში, სამრეწველო გაერთიანებების „საქჩაის“ და „სამტრესტის“ მუშაობის სირთულესა და მრავალმხრივ საქმიანობას, აგრეთვე სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ და „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის № 896 დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებები „საქჩაი“ და „სამტრესტი“ საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად და საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად ამ გაერთიანებებისათვის დაწესებული საშტატო რიცხოვნობისა და მმართველობის აპარატების შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიტანოს შესაბამის ბრძანებულებათა პროექტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაბამისად ჩაისა და ღვინის მრეწველობის დარგების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე დავალებების, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

3. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად:

— სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტროსთან შეთანხმებული საშტატო რიცხოვნობა და მმართველობის აპარატების სტრუქტურა;

— სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებული ამ კომიტეტების დებულებათა პროექტები.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს მიწის ნაკვეთი საინჟინრო-ლაბორატორიული კორპუსის ასაშენებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ე. შევარდნაძე.** | **დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 22 თებერვალი, № 118.

## 7 სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგების გამოყენების დაჩქარების მიზნით წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლების საპარტნიორო კავშირურთიერთობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების მომზადებასთან ერთად მიმდინარეობს დიდი კვლევითი მუშაობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ აქტუალურ საკითხზე.

მაგრამ უმაღლეს სასწავლებელთა მაღალი მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის დონე ჯერ კიდევ არასაკმარისია. ხშირია დიდძალ თემებზე ძალებისა და სახსრების დაქსაქსვის შემთხვევები, ჭიანურდება მეცნიერულ სამუშაოთა დამთავრების და, განსაკუთრებით, წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის ვადები. ამის გამო მეცნიერთა მიღწევები ხშირად მორალურად ძველდება ჯერ კიდევ მათ პრაქტიკულ გამოყენებამდე, ხოლო დახარჯულ სახსრებს სათანადო უკუგება არ მოაქვთ.

შექმნილი მდგომარეობის ძირითად მიზეზებად უნდა ჩაითვალოს უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო ქვედანაყოფების ღონისძიებათა კონცენტრაციის არასაკმარისი დონე, მათი მეცნიერული, ორგანიზაციული და სამეურნეო გათიშულობა; ჯაჭვის „კვლევა-დამუშავება-საცდელი ნიმუში-წარმოება“ მთლია-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად ყველა ეტაპის გამჭოლი დაგეგმვის არარსებობა; ბევრი დამოუკიდებლად მოქმედი სამეცნიერო ქვედანაყოფის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ნაკლოვანებანი და სიძნელეები; ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნითა და დანერგვით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ და სწრაფად დანერგვის აუცილებლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამასთან რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეურნეოანგარიშიანი სამეცნიერო გაერთიანების საქმიანობის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა და სამრეწველო საწარმოთა შორის საპარტნიორო კავშირურთიერთობის განვითარების პირობების შექმნის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემოღებულ იქნეს, მოყოლებული 1983 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ექსპერიმენტის წესით იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების ახალი სისტემა, რომლებიც ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით.

2. დამტკიცდეს თანდართული „დროებითი დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოს შემსრულებელ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის და შემკვეთებთან პარტნიორობის ორგანიზაციის შესახებ“.

3. უფლება მიეცეთ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გადარიცხონ (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების წარმატებით დანერგვის შემდეგ) სამი წლის განმავლობაში ამ სამუშაოს შემსრულებელი უმაღლესი სასწავლებლის ანგარიშზე წარმოების მიერ ყოველ წელიწადს ფაქტიურად მიღებული დამატებითი მოგების 30 პროცენტი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის შესაბამისი დახმარების გაწევა ექსპერიმენტის განხორციელების ძსვლელობაში.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ქმედითი კონტროლი გაუწიონ ექსპერიმენტის განხორციელების მიმდინარეობას და წელიწადში ორჯერ მოისმინონ შედეგები მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს.

6. საჭიროდ ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს როლის ამაღლება უმაღლეს სასწავლებლებში განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა (მათ შორის სამეურნეო ხელშეკრულების მიხედვით) ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში და მათი ეფექტიანობის ამაღლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს და ორი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს ამ დადგენილებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატებმა და პარტიულმა კომიტეტებმა დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილებით დამტკიცებული „დროებითი დებულების“ პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენებისათვის, უზრუნველყონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლება და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის დაჩქარება. დამტკიცებული „დროებითი დებულებიდან“ გამომდინარე ახალი უფლებებისა და შესაძლებლობების გამოყენებასთან ერთად უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენონ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა მატერიალური და მორალური სტიმულირების სხვა დამკვიდრებული და აპრობირებული ფორმები.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 22 თებერვალი, № 119.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის
22 თებერვლის № 119 დადგენილებით

## დროებითი დებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოს შემსრულებელ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის და შემკვეთებთან პარტნიორობის ორგანიზაციის შესახებ

### ზოგადი დებულებანი

ეს დროებითი დებულება შემუშავებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის (1982 წლის მაისი) გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ღონისძიებათა კონცენტრაციას მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრაში უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ექსპერიმენტის წესით შემოღებულ იქნება სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულებისას შრომის ანაზღაურების, მატერიალური სტიმულირებისა და შემკვეთებთან საპარტნიორო კავშირურთიერთობის ორგანიზაციის ახალი სისტემა.

დასახელებულ უმაღლეს სასწავლებლებში და მათთან დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში იქმნება ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ფონდები.

აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გადარიცხული სახსრების ხარჯზე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში იქმნება ეკონომიკური სტიმულირების ანალოგიური ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვი სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებელთათვის ფინანსური დახმარების გასაწევად.

### სამუშაოთა ორგანიზაცია

ამ დებულების მოქმედება ვრცელდება სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოებზე, რომლებსაც ასრულებენ ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებ-

მეხ. 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები სამინისტროებთან, უწყებებთან, მათ მიერ უფლებამოსილ შემკვეთ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ დაწესებულებებთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობით, და მიზნად ისახავენ აქტუალური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას და უზრუნველყოფენ მაღალი სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტის საბოლოო შედეგების მიღებას.

აღნიშნულ სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოებზე ვრცელდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1979 წლის 26 იანვრის № 100 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია შემკვეთებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების მიერ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულების წესის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული 1981 წლის 21 მაისის № 93 მეთოდური მითითებანი შემკვეთებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების მიერ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულების შემოსავალ-გასავლის დაგეგმვის შესახებ, ამ დებულებიდან გამომდინარე თავისებურებებითა და დამატებებით.

სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა თემატიკას, რომელიც ამ დებულებას შეესაბამება, აგრეთვე მათი შესრულების ხუთწლიან და წლიურ გეგმებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო შესაბამის შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით. აღნიშნული სამუშაოები შეიტანება შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებში.

სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებიც მიზნად ისახავენ დიდმნიშვნელოვანი დარგობრივი (დარგთაშორისი) კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო შეიმუშავებს უმაღლესსასწავლებელთაშორის მიზნობრივ პროგრამებს უმაღლესი სასწავლებლებისა და გარეშე ორგანიზაციების — თანაშემსრულებლების მონაწილეობით. მთავარ შემსრულებლად დაინიშნება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი. პროგრამა შეუთანხმდება შემკვეთ სამინისტროებს (უწყებებს).

### მუშაკთა შრომის ორგანიზაცია, ხელფასი და მატერიალური სტიმულირება

უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელები (პრორექტორები სამეცნიერო მუშაობის დარგში, სამეცნიერო-კვლევითი ნაწილებისა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განყოფილებების ხელმძღვანელები) სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოების ხელმძღვანელთა მეშვეობით:

— ახორციელებენ და სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას, ქმნიან მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობებს, უზრუნველყოფან შრომის დისციპლინის დაცვას;

— ახორციელებენ ღონისძიებებს ხელფასის, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების დარგში, ამასთან უზრუნველყოფენ ხელფასისა და

მატერიალური წახალისების ფონდების ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენებას;

— ეწევიან სამუშაოების შემსრულებელთა შერჩევას, ამუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს კადრების რეზერვის მოსამზადებლად, იწვევენ სამუშაოდ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებსა და ასპირანტებს.

შემკვეთებთან ხელშეკრულების დადებისას ხელფასის ფონდი თემის მიხედვით განისაზღვრება შესრულებულ სამუშაოთა დანერგვის შედეგად მიღებული მოსალოდნელი წლიური ეკონომიკური ეფექტის შესაბამისად შემდეგი ოდენობით:

| წლიური ეკონომიკური ეფექტი | ხელფასის ფონდის ოდენობა (წლიური ეკონომიკური ეფექტის პროცენტულად) |
|---|---|
| 50 ათასიდან 100 ათას მანეთამდე | 3-დან 12 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 10 ათასი მანეთისა |
| 100 ათასიდან 500 ათას მანეთამდე | 2-დან 10 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 35 ათასი მანეთისა |
| 500 ათასიდან 2 მილიონ მანეთამდე | 1-დან 7 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 80 ათასი მანეთისა |
| 2 მილიონიდან 5 მილიონ მანეთამდე | 0,7-დან 4 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 150 ათასი მანეთისა |
| 5 მილიონ მანეთზე მეტი | 0,5-დან 3 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 200 ათასი მანეთისა |

სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა შესრულებისას აწესებენ მუშაკთა (სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის, ასპირანტთა, სტუდენტთა, მოსამსახურეთა და მუშათა) შრომის ანაზღაურების ორ ფორმას: დროებრივ-პრემიულს და აკორდულს.

### შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიული ფორმა

გამოიყენება მოცემული უმაღლესი სასწავლებლის შტატში შემავალი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, ასპირანტებისა და სტუდენტების, სასწავლო-დამხმარე და საწარმოო პერსონალისათვის, აგრეთვე მოცემული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო საწარმოების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის საშტატო შემთავსებლობის პირობებით შეთავსებულ თანამდებობაზე 0,5 განაკვეთის ანაზღაურებით, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი სექტორის საშტატო შემადგენლობისათვის. მათი თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მოქმედი სქემების შესაბამისად.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობას მოცემული თემისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში უფლება ეძლევა ყოველთვიურად სამეურნეო-სახელშეკრულებო თემის ხელმძღვანელის წარდგენით მისცეს დავალებათა მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის თემის შემსრულებელ მუშაკებს პრემიის სახით სქემის მიხედვით დაწესებული ერთ თვემდე თანამ-

მუხ. 7/ ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობრივი სარგო. საპრემიო თანხები გაიცემა უმაღლესი სასწავლებლის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით.

### შრომის ანაზღაურების აკორდული ფორმა

გამოიყენება კონკრეტულ სამეცნიერო სამუშაოთა შესრულების დროისათვის მოწვეული მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის.

მოწვეულ მეცნიერთა და სპეციალისტთა რაოდენობას და აკორდული ანაზღაურების ოდენობას (თემის ხელმძღვანელის წარდგენით, შესაბამისი საპრობლემო საბჭოს რეკომენდაციითა და პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით) განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა თემისათვის გამოყოფილი ხელფასის ფონდის ფარგლებში.

სამუშაოს შესრულების პერიოდში მოწვეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მიეცემათ შემთავსებლის სარგო თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად 0,5 საშტატო ერთეულამდე, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება აკორდული განრიგით დაწესებული სამუშაოთა მთელი მოცულობის შესრულებისა და მიღების შემდეგ.

ვადის ჩაშლის ან შესრულებულ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხის შემთხვევაში მიწვეულ სპეციალისტებს შრომა აუნაზღაურდებათ გარანტირებული სარგოების მიხედვით სქემის შესაბამისად.

უმაღლეს სასწავლებელს (თემის ხელმძღვანელს) უფლება აქვს გამოიყენოს ხელფასის ფონდი შესასრულებელი თემის ეტაპების მიხედვით და ინარჩუნებს უფლებას გამოიყენოს იგი შემდგომ წლებში ხელშეკრულების დამთავრებამდე.

უმაღლესი სასწავლებლის მიერ ხელშეკრულების პირობების უხარისხო შესრულების ან ვადების დარღვევის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლის მიზეზით ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში შემკვეთი აანაზღაურებს მხოლოდ ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტში თემის შემსრულებელთა ხელფასის გარანტირებული მინიმუმის გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მთელი დანარჩენი ხარჯები კი მიეკუთვნება უმაღლეს სასწავლებელს.

შემკვეთის მიზეზით ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში იგი აანაზღაურებს ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტში თემის მიხედვით გაწეულ მთელ ხარჯებს, აგრეთვე გადარიცხავს უმაღლესი სასწავლებლის ანგარიშზე ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტში გამოუყენებელ ნაწილს ხელფასის ფონდისა, რომელიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით მთლიანად თემისათვის.

ხელშეკრულების გაწყვეტისას მოწვეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მიეცემათ აკორდული სამუშაოებისათვის განრიგით დათქმული თანხის ნაწილი ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის პროპორციულად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## მეცნიერების პარტნიორობა წარმოებასთან

თემის შემსრულებელთა, აგრეთვე სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგების დანერგვაში უშუალოდ მონაწილე წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც განხორციელდა დანერგვა, სამუშაოს დანერგვიდან სამი წლის განმავლობაში გადარიცხავენ უმაღლესი სასწავლებლის ანგარიშზე მათ მიერ ფაქტიურად მიღებული დამატებითი მოგების 30 პროცენტს.

ამ თანხის 80 პროცენტი რჩება უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში, ხოლო 20 პროცენტი გადაირიცხება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდში.

უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში დარჩენილი თანხის 10 პროცენტამდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლესი სასწავლებლის მუშაკთა (რომლებიც არ მონაწილეობდნენ მოცემული თემის შემუშავებასა და დანერგვაში) პრემირებისათვის ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და სამუშაოებში განსაკუთრებით თვალსაჩინო შედეგებისათვის, რომელთა ეფექტის კონკრეტული ეკონომიკური შეფასება მანეთობით შეუძლებელია.

დანარჩენი სახსრები თანაბრად ნაწილდება:

ა) უმაღლესი სასწავლებლების იმ მუშაკთა და წარმოების წარმომადგენელთა მატერიალური წახალისების ფონდებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დანერგვაში;

ბ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდებს;

გ) უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ბაზის განვითარების ფონდებს შორის.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელს (თემის ხელმძღვანელის წინადადებით) უფლება ეძლევა მისცეს პრემია მუშაკებს ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

პრემირების საფუძველს წარმოადგენს:

— უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი საპრობლემო საბჭოს დასკვნა;

— ცნობა გეგმის მიხედვით სამუშაოთა შესრულების ვადების შესახებ.

პრემიების ოდენობა განისაზღვრება სამუშაოთა შესრულებაში მუშაკთა მონაწილეობის დონის შესაბამისად.

თემის ხელმძღვანელის პრემირება ხდება უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მიერ საპრემიო ფონდის ხარჯზე.

თემის ხელმძღვანელის მიერ წლის განმავლობაში მიღებული პრემიების თანხა არ უნდა აღემატებოდეს მისი ძირითადი სამუშაოს წლიურ სარგოს.

ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ნებართვით, თემის ხელმძღვანელისა და შემსრულებლებისათვის, აგრეთვე წარმოების წარმომადგენლებისათვის მისაცემი პრემიების ოდენობა შეიძლება აღემატებოდეს ამ მუშაკთა წლიური სარგოს თანხას.

ძუდ. ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია მუშაკთა პრემირებისათვის, აგრეთვე მიღებულია ცენტრალიზებული ფონდიდან ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის გამო პრემირებისათვის, და რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი ვერ გამოიყენებს საანგარიშო წლის განმავლობაში, არ ჩამოერთმევა და დარჩება უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში.

უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში დარჩენილი მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება მუშაკთა პრემირებისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან დავალებათა და პერსპექტიულ და საინიციატივო სამუშაოთა შესრულების გამო, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის.

უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში დარჩენილი მატერიალური წახალისების ფონდების და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯვის ნუსხებს დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება ზემდგომი ორგანოების მიერ არ დაიშვება, გარდა სპეციალური დადგენილებებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

უმაღლესი სასწავლებლების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ანგარიშზე გადარიცხული თანხა გამოიყენება:

— მატერიალური წახალისების;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის;

— განვითარების ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად;

აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვის შესაქმნელად.

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელების (რექტორების, სამეცნიერო მუშაობის დარგში პრორექტორების, სამეცნიერო-კვლევითი ნაწილებისა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განყოფილებების ხელმძღვანელებისა და მუშაკების), აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს აპარატის (მეცნიერების სამმართველო) მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ან აქტიურად უწყობდნენ ხელს იმ სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა წარმატებით შესრულებას, რომელთა მიხედვით მიღებულია მაღალი სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტის საბოლოო შედეგები.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება უმაღლეს სასწავლებელთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შესავსებად, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათ-

ლების სამინისტროს მუშაკთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება კაპიტალურ დაბანდებათა და შემდეგი დანახარჯების დასაფინანსებლად:

— კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გზით უმაღლეს სასწავლებელთა ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზის რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის;

— სამეცნიერო მოწყობილობის, ხელსაწყოების, ორგტექნიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებების შესაძენად;

უმაღლეს სასწავლებელთა და უმაღლესსასწავლებელთაშორისი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების, სამეცნიერო აპარატურის კოლექტიური გამოყენების ცენტრების ორგანიზაციისათვის;

— უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფისათვის მეცნიერული კვლევის ავტომატიზაციის საშუალებათა, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა და სამეცნიერო მოწყობილობის შესამუშავებლად.

---

## 8 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გამარტივების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქსახსოფლტექნიკის ბაზაზე.

დაწესდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის სამი პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობა.

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქსახსოფლტექნიკა.

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა პროექტები ამ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის დებულების, მისი სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის შეთანხმებამდე და დამტკიცებამდე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქსახსოფლტექნიკა, მათი ქვედანაყოფები და თანამდებობის პირები განახორციელებენ თავიანთ უფლებებს და შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 23 თებერვალი № 123.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

### 9 შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რესურსების გადიდების, მათი შეგროვების, დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

2. დამტკიცდეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების თანდართული პირობები და წესი.

3. დაწესდეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური

შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად სამი წამახალისებელი ადგილი და შესაბამისად ერთი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს ფულადი პრემიები მიეცეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილების (პუნქტი 19) შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 21 იანვარი, № 30.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1983 წლის 21 იანვრის № 30 დადგენილებით

**შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი**

1. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ეწყობა იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, სახალხო კონტროლის კომიტეტების, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების, ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შემოქმედებითი აქტიურობა და ინიციატივა:

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე არსებული გაერთიანებების, საწარმოების, მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) გეგმათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების;

მეხ//9

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების გამოვლენის, შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გაგზავნის გეგმების შესრულებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების, მუშაობისადმი კონტროლის განხორციელების;

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე წარმოქმნილი შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ლითონების მთლიანად შეგროვების, ჩაბარებისა და რიტმული გაგზავნის;

ხარისხიანი და სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ჩაბარების უზრუნველყოფის საქმეში.

2. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს განიხილავენ და შეაჯამებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო.

3. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები და რაიონები, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების სახელმწიფო გეგმას, უზრუნველყოფენ სამუშაოთა უკეთ ორგანიზაციას მათი გამოვლენის, შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გაგზავნის მიზნით.

4. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება და გამარჯვებულებს პრემიები მიეცემათ კვარტალის მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიერ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმების შესრულების შესახებ განზოგადებულ მონაცემებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად, აგრეთვე იმ მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საგეგმო დავალებათა შესრულებას, მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს საქართველოს მეორეული შავი ლითონების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება და საქართველოს მეორეული ფერადი ლითონების რესპუბლიკური სამმართველო ყოველკვარტალურად საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვში.

6. პრემიის მიკუთვნების პირობებად ითვლება შემდეგი მაჩვენებლები:

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების კვარტალური გეგმებისა და დამატებითი დავალებების რიტმული (თვეების მიხედვით) შესრულება;

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის, რაიონის იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებმაც შეასრულეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ჩაბარების კვარტალური გეგმები, ხოლო ქალაქ თბილისში — ადმინისტრაციული რაიონების რაოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს პრემიები მიეცემათ „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შენახვის, ჩაბარებისა და გაგზავნისათვის მუშაკთა პრემირების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე, რომლებსაც ცენტრალიზებულად გადარიცხავენ საქართველოს მეორეული შავი ლითონების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება და საქართველოს მეორეული ფერადი ლითონების რესპუბლიკური სამმართველო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროსთან შეთანხმებული მოცულობით.

8. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) და გადამუშავების გეგმათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიის საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს თვიური თანამდებობრივი სარგოს (სატარიფო განაკვეთის) 25 პროცენტს.

9. პრემიებით დასაჯილდოებელ მუშაკთა კანდიდატურებს განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საქართველოს მეორეული შავი ლითონების რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებასთან და საქართველოს მეორეული ფერადი ლითონების რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად.

---

## 10 საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის საკითხებისადმი რესპუბლიკის სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოთა ყურადღების გაძლიერების, სამუშაო ადგილების სანიმუშოდ მოვლისათვის მშრომელთა პირადი დაინტერესების ამაღლების და მომუშავეთა მაღალნაყოფიერი და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნის მიზნით და „წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 13 სექტემბრის № 14-1 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ჩატარდეს 1983 წელს საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კულტურისა და შრომის დაცვოს მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერება.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თანდართული შემადგენლობა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა დასაჴილდოებლად, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივ დათვალიერებაში, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 13 სექტემბრის № 14-1 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკას გამოეყო 8 დიპლომი.

5. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭომ და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მსვლელობაში უზრუნველყონ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ფართოდ ხაზმა წარმოების კულტურის ამაღლებისა და შრომის დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანების გადასაწყვეტად.

6. რესპუბლიკური გაზეთების, პროფკავშირული გაზეთის „შრომის" რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობა, ფართო პროპაგანდა გაუწიონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმატებებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ აღნიშნულ დათვალიერებაში.

7. საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამოს დათვალიერების შედეგები და 1984 წლის 20 თებერვლამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საწარმოებისა და ორგანიზა-

ციების საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებით დაჯილდოების შესახებ, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიიპოვებენ აღნიშნულ დათვალიერებაში.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 3 თებერვალი № 61.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1983 წლის 3 თებერვლის № 61 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ

1. წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერება ეწყობა 1983 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე საქართველოს სსრ გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში*) იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოთა ყურადღება წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის საკითხებისადმი, ამაღლდეს მშრომელთა პირადი დაინტერესება სამუშაო ადგილების სანიმუშოდ მოვლისათვის და ამის საფუძველზე შეიქმნას მაღალნაყოფიერი და უსაფრთხო შრომის პირობები.

დათვალიერება მიზნად უნდა ისახავდეს:

წარმოების კულტურის ამაღლებას საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონის მიღწევის, პროგრესული ტექნოლოგიების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, ინსტრუმენტების, მანქანებისა და მოწყობილობის სანიმუშო ტექნიკური მდგომარეობის, საამქროთა და უბანთა შენობების და სამუშაო ადგილების სამრეწველო ჰიგიენისა და ესთეტიკის ნორმების შესაბამისად მოვლის, საწარმოო გარემოს ოპტიმიზაციის, დასვენებისა და ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახებში, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურული მომსახურების,

---

*) შემდგომში „გაერთიანებას, საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას კოლმეურნეობას“ ეწოდება „საწარმო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი კვების სადგომებში კომფორტული ვითარების შექმნისა და მხატვრული გაფორმების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით მისი რაციონალური გაფორმების საფუძველზე;

მშრომელთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უვნებელი პირობების უზრუნველყოფას, ავარიის, საწარმოო ტრავმატიზმისა და დაავადების გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას, ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური სამუშაოებით, აგრეთვე შრომის მავნეპირობებიანი სამუშაოებით დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობის შემცირებას;

შრომის დაცვის მართვის სისტემის დანერგვას;

შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემის დანერგვას;

საამქროთა სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაციის ჩატარებას;

„უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს“ წოდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობას;

მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა დროულად უზრუნველყოფას ხარისხიანი სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით მათი გაცემის ნორმებისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად; სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და დაცვის სხვა საშუალებათა რეცხვის, ქიმიური წმენდის, რემონტისა და სხვა პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზაციას.

2. საქართველოს სსრ საწარმოებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების გამარჯვებულებად ჩაითვლებიან შრომითი კოლექტივები, რომლებიც მუშაობენ უავარიოდ წარმოებაში, ყველაზე მეტად შეამცირებენ საწარმოო ტრავმატიზმსა და დაავადებას, მიაღწევენ წარმოების კულტურის მაღალ დონეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით გათვალისწინებული დავალებების, შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმების შესრულების კვალობაზე.

3. საქართველოს სსრ საწარმოებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების გამარჯვებული საწარმოები წარმოდგენილ იქნებიან საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომით დასაჯილდოებლად.

4. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 13 სექტემბრის № 14-1 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ საწარმოებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზაციას, ჩატარებასა და შედეგების შეჯამებას უზრუნველყოფენ:

საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად;

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები ან საოლქო საბჭოები რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად;

ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში — პროფკავშირთა საბჭოები და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად.

5. მასალები რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში ჩატარებული წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ წარედგინება რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას არა უგვიანეს 1984 წლის 10 თებერვლისა.

6. საქართველოს სსრ საწარმოებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების განზოგადებისათვის შეიქმნება დამთვალიერებელი კომისიები, რომლებიც დამტკიცდება პროფკავშირული ორგანოების, შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ერთობლივი დადგენილებებით, ხოლო საწარმოებში — პროფკავშირული კომიტეტებისა და ადმინისტრაციის ერთობლივი გადაწყვეტილებებით (კოლმეურნეობებში — პროფკავშირული კომიტეტებისა და გამგეობების ერთობლივი გადაწყვეტილებებით).

დამთვალიერებელი კომისიები შეიძლება შეიქმნას საწარმოთა სტრუქტურულ ქვედანაყოფებშიც.

7. საქართველოს სსრ საწარმოებში წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგებს განიხილავენ პროფკავშირის კომიტეტები და ადმინისტრაცია (კოლმეურნეობის გამგეობა) ერთობლივ სხდომებზე. მასალები დათვალიერების შედეგების შესახებ: ცნობა და დათვალიერების პირობების შესრულების მაჩვენებლები (ცხრილით ერთვის) გაეგზავნებათ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების დამთვალიერებელ კომისიებს არა უგვიანეს 1984 წლის 1 თებერვლისა.

---

მუხ. 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1983 წლის 3 თებერვლის № 61 დადგენილებით

## შემადგენლობა

## წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიისა

| | |
|---|---|
| ი. გ. ხაზარაძე | — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარე); |
| გ. ნ. მეძმარიაშვილი | — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ენერგეტიკისა და მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); |
| ი. ე. ვადოვი | — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); |
| გ. ა. ბუქგულაშვილი | — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე; |
| ა. ი. გობიანიძე | — ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე; |
| ნ. ა. ლაკია | — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე |
| ა. ა. ჩოხელი | — ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური . მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე; |
| გ. ბ. მეფარიშვილი | — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე; |

№ 1/ ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ს. ღოღობერიძე — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ს. პ. ჯინჯიხაძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

ქ. გ. ჟორდანია — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე:

თ. დ. ჭყონია — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი;

რ. ტ. ჩხაიძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე;

ჯ. რ. ხავთასი — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე;

დ. ი. ჯიჯეიშვილი — ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი;

ი. ა. ცაგარელი — საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს მთავარი ინჟინერი;

ნ. მ. არუთინოვი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მთავარი ტექნიკური ინსპექტორი;

ვ. ს. დავლიანიძე — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროსი;

თ. ა. ქათამაძე — საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მთავარი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ხ რ ი ლ ი

**წარმოების კულტურისა და შრომის დაცვის მდგომარეობის რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერების მაჩვენებლებისა**

---

საწარმოს სრული დასახელება ______________________________

---

---

იმ სამინისტროს, უწყების დასახელება, რომლის სისტემაშიც შედის საწარმო

---

---

---

## I. სახელმწიფო გეგმის შესრულება

| მაჩვენებლები | გეგმა | ფაქტი | გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|---|---|
| 1.1. წარმოების მოცულობა სახელმწიფო გეგმით დაწესებული მაჩვენებლებით | | | |
| 1.2. შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროცენტი | | | |

## II. შრომის პირობებისა და სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა

| მაჩვენებლები | მდგომარეობა 1 იანვრისათვის | |
|---|---|---|
| | 1983 წ. | 1984 წ. |
| 2.1. მომუშავეთა რაოდენობა — სულ (კაცი) | | |
| მათ შორის: | | |
| სანიტარიული ნორმების შესაბამის პირობებში | | |
| კაცი | | |
| მომუშავეთა საერთო რაოდენობის პროცენტულად | | |
| მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე | | |
| კაცი | | |
| მომუშავეთა საერთო რაოდენობის პროცენტულად | | |
| დასაქმებულია ხელის შრომით | | |
| კაცი | | |
| მომუშავეთა საერთო რაოდენობის პროცენტულად | | |

1) აღინიშნება იმ ორდენების დასახელება, რომლებიც დაჯილდოებულია საწარმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მაჩვენებლები | მდგომარეობა 1 იანვრისათვის | |
|---|---|---|
| | 1983 წ. | 1984 წ. |
| 2.1. დასაქმებულია შრომის მავნეპირობებიანი სამუშაოებით მომუშავეთა საერთო რაოდენობის პროცენტულად | | |
| 2.2. უზრუნველყოფა (ფაქტიური): | | |
| გარდერობებით (ადგილი) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |
| საშხაპეებით (ბადე) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |
| ქალის პირადი ჰიგიენის ოთახებით (კაბინა) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |
| სასადილოებით (დასაჯდომი ადგილი) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |
| მათ შორის დიეტური სასადილოებით (დასაჯდომი ადგილი) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |
| ბუფეტებით (დასაჯდომი ადგილი) | | |
| ნორმების პროცენტულად | | |

## III. წარმოების კულტურის მდგომარეობა, შრომის დაცვის მოწინავე გამოცდილების დანერგვა

| მაჩვენებლები | მდგომარეობა 1 იანვრისათვის | |
|---|---|---|
| | 1983 წ. | 1984 წ. |
| 3.1. მიკუთვნებული აქვს თუ არა წოდება „წარმოების უმაღლესი კულტურის საწარმო“ (კი, არა). | | |
| 3.2. საამქროებისა და მათთან გათანაბრებული სხვა ქვედანაყოფების რაოდენობა, სულ | | |
| აქედან — მიკუთვნებული ან დადასტურებული აქვს წოდება „წარმოების მაღალი კულტურის საამქრო (ქვედანაყოფი)“ | | |
| 3.3. მიკუთვნებული აქვს თუ არა წოდება „უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმო“ (კი, არა) | | |
| 3.4. ბრიგადებისა და მათთან გათანაბრებული სხვა შრომითი კოლექტივების რაოდენობა, სულ | | |
| აქედან—მუშაობს მოსკოველ მშენებელთა იმ ბრიგადის მეთოდით, რომელსაც ა. დ. ბასოვი მეთაურობს | | |
| 3.5. გამოიყენება, თუ არა შრომის დაცვის მართვის სისტემა (კი, არა) | | |
| 3.6. ინერგება თუ არა შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა (კი, არა) | | |
| შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემის რამდენი სტანდარტია დანერგილი | | |
| 3.7. დამთავრებულია თუ არა საამქროს, წარმოების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაცია (კი, არა) | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. საწარმოო ტრავმატიზმისა და დაავადების მდგომარეობა

| | მაჩვენებლები | 1982 წ. | 1983 წ. | 1983 წელი პროცენტობით 1982 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| 4.1. | ისეთი უბედური შემთხვევების რაოდენობა, რომელთაც გამოიწვიეს შრომისუნარიანობის დაკარგვა 1 და მეტი სამუშაო დღით, — სულ<br>მათ შორის — სიკვდილი | | | |
| 4.2. | უბედური შემთხვევების რაოდენობა 1000 მომუშავეზე სულ<br>მათ შორის — სიკვდილი | | | |
| 4.3. | საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა —სულ<br>მათ შორის — საწარმოს მძღოლთა მიზეზით | | | |
| 4.4. | საწარმოს მძღოლთა მიზეზით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზარალებულთა რაოდენობა — სულ<br>მათ შორის — სიკვდილი | | | |
| 4.5. | გამოვლენილ პროფდაავადებათა რაოდენობა | | | |
| 4.6. | დაავადება 1000 მომუშავეზე<br>შემთხვევები<br>დღეები | | | |

დირექტორი

პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

ეს ცხრილი თან დაერთვის ცნობას, რომელშიც აისახება დათვალიერების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის გაწეული მუშაობის შინაარსი. დათვალიერების მსვლელობაში შემოსულ და დანერგილ წინადადებათა რაოდენობა, 1981-1983 წლებში შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების, სანიტარიულ-გამაჯანსაღებე ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შესრულების შედეგები, სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით მშრომელთა უზრუნველყოფის და მათი მოვლის ორგანიზაციის მდგომარეობა, შრომის დაცვის მართვის სისტემის და შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესების სხვა პროგრესული ფორმებისა და მუშაობის მოწინავე გამოცდილების გამოყენება.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 ნოემბრის № 983 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ბანკის კრედიტის თაობაზე ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 ნოემბრის № 983 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 7 მაისის № 495 დადგენილებისა „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის 1944 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“;

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 8 მაისის № 526 დადგენილებისა „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის 1945 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 27 დეკემბრის № 1771 დადგენილება „საქზოოვეტმომარაგების საქონლის ზეგეგმითი ნაშთების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 აგვისტოს № 730 დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საფინანსო გეგმის დაზუსტების შესახებ“;

— მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 იანვრის № 24 დადგენილებისა „საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის შემდგომი გაფართოების შესახებ“;

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 დეკემბრის № 963 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის გრძელვადიანი დაკრედიტების 1960 წლის გეგმის შესახებ“;

— მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მეორე-მეოთხე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 26 სექტემბრის № 568 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 ნოემბრის № 983 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 57 დადგენილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 1-5, 16, 17, 22-26, 28 და 29 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ“, რომელიც დავზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 298 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 7 იანვარი, № 8.

## 12 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან წყალმომარაგებისა და წყალჩაშვების საწარმოთა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან, და შეიქმნას 1983 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან წყალმომარაგებისა და წყალჩაშვების საწარმოთა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალი“ მმართველობის აპარატის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობის 40 ერთეულით, მათ შორის 17 ერთეული მათი შენახვისათვის 36,4 ათასი მანეთის ზღვრული ასიგნებებით — აღნიშნული სამინისტროს წყალსადენ-საკანალიზაციო მეურნეობის გაუქმებული მთავარი სამმართველოს ხარჯზე, და 23 ერთეული — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ მათი შენახვისათვის დამატებით გამოყოფილი შესაბამისი ზღვრული ასიგნებებით.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს:

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით რესპუბლიკური საწარმოო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანება „საქწყალკანალის" საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული საშტატო რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში;

— რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის" დებულება.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომლებსაც აქვთ საუწყებო საკანალიზაციო საწმენდი ნაგებობანი წყალსატევებში ჩანადენების უშუალოდ ჩასაშვებად, მიიღონ ბალანსიდან ბალანსზე აღნიშნული ნაგებობანი მფლობელთა მიერ ჯეროვან ტექნიკურ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ ძირითადი ფონდებითა და საშტატო ერთეულებით ნორმატივების თანახმად რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის" მიერ ექსპლუატაციისათვის.

აღნიშნულ ნაგებობათა მიღების წესისა და ვადების შესახებ სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებული წინადადებანი;

— 1983 წლის 1 მარტამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის" მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაუწიონ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დახმარება რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის" მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მაქსიმალურად უზრუნველყოფაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 13 იანვარი, № 17.

## 13 „ქალაქ თბილისის სააფთიაქო სამმართველოს შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 აპრილის № 254 დადგენილების 1-ლი პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება „ქალაქ თბილისის სააფთიაქო სამმართველოს შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 აპრილის № 254 დადგენილების 1-ლ პუნქტში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას თბილისის საქალაქო სააფთიაქო სამმართველო ორმაგი დაქვემდებარებით — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი.

აღნიშნული სამმართველო შეიქმნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოსათვის დამტკიცებული მმართველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 14 იანვარი, № 18.

## 14 მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 819 დადგენილების შესასრულებლად დაწესდეს ზონების მიხედვით მოქალაქეთა კუთვნილ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენის დაზღვევის ახალი სადაზღვევო თანხები, № 1 დანართის თანახმად.

2. „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დაწე-

სდეს ზონების მიხედვით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის გადასახდელთა განაკვეთები სადაზღვევო თანხის ყოველი 100 მანეთიდან, № 2 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის წლიურ გადასახდელთა 50 პროცენტის გადახდის ვადა 1 ივლისისათვის და დანარჩენი 50 პროცენტისა — 1 ოქტომბრისათვის.

4. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1983 წლის 1 იანვრიდან.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 დეკემბრის № 662 დადგენილება „მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 14 იანვარი, № 19.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 14 იანვრის № 19 დადგენილების დანართი № 1

## ოდენობა

### ერთი სული პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხისა მანეთობით

1. ორ წელზე უხნესი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის:

— აბაშის, ვანის, ქედის, ლენტეხის, სამტრედიის, საჩხერის, შუახევის, ხულოს, ხობის, წალენჯიხის, ჩოხატაურის რაიონებში და ქალაქებში ჭიათურასა და წყალტუბოში — 160 მანეთი;

— ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, გალის, გეგეჭკორის, გულრიფშის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზნაურის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქობულეთის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, ოჩამჩირის, სოხუმის, თერჯოლის, ხაშურის, ხელვაჩაურის, ცაგერის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონებში და ქალაქებში ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ტყვარჩელში, ტყიბულსა და სოხუმში — 200 მანეთი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გუდაუთის, დმანისის, ჯავის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენინგორის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ცხინვალის რაიონებში და ქალაქებში თბილისში, გაგრაში, გორში, რუსთავსა და ცხინვალში — 250 მანეთი.

2. ორ წელზე უხნესი ცხენისათვის მთლიანად რესპუბლიკაში — 100 მანეთი.

---

შენიშვნა: 1-დან 2 წლამდე ასაკის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის სადაზღვევო თანხები წესდება ორ წელზე უხნესი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის დაწესებული სადაზღვევო თანხის 70 პროცენტის ოდენობით, ხოლო 6 თვიდან 1 წლამდე ასაკისა — 40 პროცენტის ოდენობით; 1-დან 2 წლამდე ცხენის დაზღვევისა — 2 წელზე უხნესი ცხენისათვის დაწესებული სადაზღვევო თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 14 იანვრის № 19 დადგენილების დანართი № 2

## განაკვეთები

**სადაზღვევო გადასახდელებისა პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხის ყოველი 100 მანეთიდან**

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის:

— ახალქალაქის, ახალციხის. ბოგდანოვკის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, თიანეთის, თელავის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხაშურის, წალკის, წითელწყაროს რაიონებში და ქალაქებში გორში, რუსთავში, თბილისსა და გაგრაში — 5 მანეთი;

— ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოლნისის, გუდაუთის. ჯავის, ზნაურის, ზესტაფონის, ლენინგორის, საჩხერის, სამტრედიის, ცაგერის, ცხინვალის რაიონებში და ქალაქებში ქუთაისში, წყალტუბოში, ცხინვალსა და ჭიათურაში — 6 მანეთი;

— აბაშის, ადიგენის, გალის, გულრიფშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ქედის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, ოჩამჩირის, სოხუმის, ხელვაჩაურის, ხობის, ხულოს, წალენჯიხის, ცხაკაიას, წულუკიძის, შუახევის, ჩოხატაურის, ვანის, დუშეთის, ჩხოროწ-

ყუს, ქობულეთის რაიონებში და ქალაქებში ფოთში, ტყიბულში, სოხუმში, ტყვარჩელში, ბათუმსა და ზუგდიდში — 7 მანეთი.

2. ცხენისათვის მთლიანად რესპუბლიკაში — 8 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

## 15 რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების იმ პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ, რომლებშიც დასაშვებია შეთავსება

შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებით, სამუშაოთა დაწესებული მოცულობის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მუშაკთა მიერ პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსების, მომსახურების ზონების გაფართოების ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდების, თავიანთ ძირითად სამუშაოსთან ერთად დროებით არმყოფ მუშაკთა მოვალეობის შესრულების შემთხვევებში განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 1145 დადგენილებით „პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსების წესისა და პირობების შესახებ“ და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1982 წლის 14 მაისს დამტკიცებული № 53-ვლ ინსტრუქციით ზემოაღნიშნული დადგენილების გამოყენების შესახებ.

2. დაწესდეს, რომ იმ პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხას, რომლებშიც დასაშვებია პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში სხვადასხვა კატეგორიის პერსონალისათვის მიკუთვნებულ მუშაკთა მიერ, აგრეთვე პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება ყველა შემთხვევაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში, ამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სამინისტროებსა და უწყებებში შემოწმებათა ჩატარებისას მოიცვან აგრეთვე ის საკითხები, სწორად იყენებენ თუ არა ისინი ამ დადგენილებით და „პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსების წესისა და პირობების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 1145 დადგენი-

ლებით გათვალისწინებულ პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსების წესსა და პირობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 19 იანვარი, № 24.

## 16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ბრუნვის გადასახადის მიხედვით ანგარიშსწორების წესის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 8 დეკემბრის № 1050 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „დაბალხარისხოვანი და გადასამუშავებლად გამოსადეგი არასტანდარტული ტყავნედლეულისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილების მე-4 პუნქტში ცვლილებანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4· მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 76 დადგენილებით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 8 დეკემბრის № 1050 დადგენილების რედაქციით):

ა) დაწესდა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და საწარმოო გაერთიანებანი, რომლებიც გამოიმუშავებენ საქონელს არასტანდარტული ტყავნედლეულის, ქურქ-ბეწვეულის ნედლეულისა და ბეწვიანი ნადირის საქურქე ნედლეულისაგან, განთავისუფლდებიან ბრუნვის გადასახადის გადახდისაგან დადგენილი წესით გამოანგარიშებული ბრუნვის გადასახადის თანხის 40 პროცენტის ოდენობით, ხოლო ამ საქონლის წარმოებისაგან მიღებული მოგება 40 პროცენტის ოდენობით დარჩება აღნიშნულ საწარმოთა და საწარმოო გაერთიანებათა განკარგულებაში და დაიხარჯება მუშაკთა ინდივიდუალური პრემირებისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შესაძენად და მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გასაწევად“.

მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „ბ“ ქვეპუნქტად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 31 იანვარი, № 48.

## 17 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 16 თებერვალი, № 76.

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 16 თებერვლის № 76 დად-
გენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო არის საოლქო სამმართველო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მის აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ახორციელებს ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელობას საქვეუწყებო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ისევე იმ ქალაქისა და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რომლის ტერიტორიაზეც ისინი მდებარეობენ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შემადგენლობაში შედიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო და რაიონული სამმართველოები, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატი, ბინების რემონტისა და მშენებლობის საწარმოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) განახორციელოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან ერთად მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე, განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება გადაიქცეს სახალხო მეურნეობის მექანიზებულ დარგად:

ბ) შეისწავლოს ქალაქისა და სოფლის მომსახურების მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, შეიმუშაოს ამის საფუძველზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი და დანერგოს ისინი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეწველო და არასამრეწველო სახეობათა მაქსიმალური გადიდება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტების მშენებლობა, მოქმედის გაფართოება და რეკონსტრუქცია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების დანერგვა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლება, ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გავრცელება, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარებისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება; განახორციელოს ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და კულტურის ასამაღლებლად, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელის განვითარებისა და რაციონალურად განლაგებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად;

დ) უზრუნველყოს ქალაქისა და სოფლის მომსახურების საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეში არსებული დისპროპორციის თანდათანობით შემცირება სასოფლო კომპლექსური მიმღები პუნქტების ქსელის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მშრომელთა გასვლითი მომსახურების ორგანიზაციის საფუძველზე;

ე) კონტროლი და კოორდინაცია გაუწიოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს ხელმძღვანელობას საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი და გაუწევს მათ პრაქტიკულ დახმარებას;

ბ) გაანაწილებს საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმასა და საფინანსო გეგმას საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით, აგრეთვე გაანაწილებს ხელფასის ფონდს მათ შორის;

გ) გაანაწილებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიხედვით, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს მათი დროულად ათვისებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი;

დ) წარუდგენს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დასამტკიცებლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის გეგმათა პროექტებს;

ე) სისტემატურად გააკონტროლებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ გეგმების შესრულებას, განახორციელებს კონტროლს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრების სწორად გამოყენებისადმი;

ვ) განახორციელებს ხელმძღვანელი კადრებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შერჩევასა და განაწილებას; საჭირო შემთხვევებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით წარადგენს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების

სამინისტროში დასამტკიცებლად კანდიდატურებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე;

ზ) განახორციელებს ხელმძღვანელობას საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების დაყენებისადმი და კონტროლს გაუწევს მის სისწორეს, გააანალიზებს ბალანსებს და დადგენილი წესით წარუდგენს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა დარგის მიხედვით კრებსით საბუღალტრო ბალანსს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, რესპუბლიკის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 დეკემბრის № 863 დადგენილების შესაბამისად; საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს საქვეუწყებო ორგნიზაციათა და საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს საჭირო ზომებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

თ) ჩაატარებს საოლქო დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებში საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფას სისტემის ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში;

ი) შეიმუშავებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესების, სამრეწველო სანიტარიის დაცვის ღონისძიებებს;

კ) მიიღებს ზომებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიური მუშაობის უზრუნველყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, შრომის პირობების გაუმჯობესების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომიის, მომსახურების თვითღირებულების შემცირების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისა და რენტაბელობის გადიდების მიზნით;

ლ) პროფკავშირთა საოლქო საბჭოსთან ერთად მოაწყობს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სოციალისტურ შეჯიბრებას და დადგენილი წესით შეაჯამებს შეჯიბრების შედეგებს;

მ) უზრუნველყოფს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე მოქალაქეთა წერილების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და ყურადღებით განხილვას, აგრეთვე მიიღებს ზომებს ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც იტყობინებოდნენ მოქალაქენი.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს:

ა) საჭირო შემთხვევებში შეიტანოს ცვლილებანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებათა საფუძველზე;

ბ) საჭირო შემთხვევებში გადაანაწილოს საკუთარი საბრუნავი სახსრები საქვეუწყებო ორგანიზაციებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი დანიშნავს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და გადააყენებს მას მოვალეობათა შესრულებისაგან, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მორიგ სესიაზე.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს სამმართველოს უფროსის მოადგილეთა, სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მუშაობისათვის.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამართველოს უფროსი გამოსცემს ბრძანებებს სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებათა საფუძველზე და შესასრულებლად.

სამმართველოს უფროსი ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მისი მოადგილე თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლეგია რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით მუშაობის ორგანიზაციის ძირითად საკითხებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი ორგანოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, აგრეთვე კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, მიღებულ გადაწყვეტილებათა

შესრულების შემოწმების მასალებს, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, ისმენს ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, უფროსის ბრძანებებით. უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი აღმასკომს.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შტატებსა და აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

12. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო არის სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, რომლის ხარჯები იფარება საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებით მმართველობის აპარატის შესანახად სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომისათვის დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს შტამპი და ბეჭედი, რომლებზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია სამმართველოს დასახელება.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 18 შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლის აღწერილობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლის ესკიზი და აღწერილობა, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 იანვრის № 35 დადგენილება „შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლის აღწერილობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 23 თებერვალი, № 85.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 23 თებერვლის № 85 დად-
გენილების დანართი

### ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლისა

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედალს აქვს სწორი წრის ფორმა მთლიანდაშტამპული ყუნწით. მედლის დიამეტრია 25 მილიმეტრი.

წინა მხარეზე არის შოთა რუსთაველის პროფილური ბარელიეფური გამოსახულება.

უკანა მხარეზე არის წარწერა ქართულ ენაზე: „შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი“.

წარწერა შესრულებულია ამოზნექილი ასოებით.

მედალი „შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი“ ტანსაცმელს მიემაგრება ფირფიტის მეშვეობით. ფირფიტა წარმოადგენს 25 მილიმეტრი სიგანის და 8 მილიმეტრი სიმაღლის სწორკუთხედს ორი განაჭერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირფიტას შემოხვეული აქვს ცისფერი მუარის ლენტი, რომლის სიგანეა 6 მილიმეტრი. ფირფიტას უკანა მხარეზე აქვს ქინძისთავი. შემაერთებელი რგოლებით მედალი დამაგრებულია ფირფიტაზე. მედლის ფუძე ყუნწიანად და შემაერთებელი რგოლები გაკეთებულია ოქროსაგან, ფირფიტა — მოოქრული ვერცხლისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-83 წ. ქაღალდის ზომა 20X108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3,5 სააღრიცხვო თაბახი 3,5

შეკვეთა № 700 უე 08264 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.